

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება №4

თბილისი

25 აპრილი 2012 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ადგენს:

1. შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი ჯგუფი.

2. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანზორ წოწონავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) როსტომ შამუგია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გ) გივი ლომინაძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

დ) აკაკი გასვიანი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) ვახტანგ თორდია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარე;

ვ) გია წუწუნავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მთავარი სპეციალისტი;

ზ) თამაზ სანიკიძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი;

თ) იგორ კოპალიანი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შექმნილმა სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ ჯგუფთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

2012 წლის 10 მაისამდე წარუდგინოს კონკრეტული წინადადებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება ეცნობოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერის ფრაქციებისა და კომისიებისათვის დაგზავნა;

ბ) დადგენილების გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მეშვეობით.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ელგუჯა გვაზავა